

დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის
რექტორის 2021 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია
უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 25 იანვრის
№30 ბრძანებითა და უნივერსიტეტის რექტორის
2023 წლის 13 ნოემბერის №130 ბრძანებით.

*შპს ქუთაისის უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის
სიმულაციური ცენტრის საქმიანობის წესი*

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	3
მუხლი 3. ცენტრის მიზანი	3
მუხლი 4. ცენტრის ფუნქციები	4
მუხლი 5. ცენტრის მართვა და საქმიანობა.....	4
მუხლი 6. ცენტრის ქონება და დაფინანსება.....	4
მუხლი 7. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგია	5
მუხლი 8. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შეფასების ინდიკატორები	5
მუხლი 9. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მომზადების ეტაპები .	5
მუხლი 10. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ორგანიზება.....	6
მუხლი 10 ¹ . კლინიკური უნარების სწავლების და შეფასების კომიტეტი	6
მუხლი 11. დასკვნითი დებულებები.....	7

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სიმულაციური ცენტრის ორგანიზაციასა და საქმიანობას მედიცინის ფაკულტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადების მიზნით.
2. სიმულაციური ცენტრი არის შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული.
3. სიმულაციური ცენტრი არის სასწავლო ცენტრი, სადაც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საშუალებით (მანეკენები, სამედიცინო ინსტრუმენტები, კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ.) შექმნილია კლინიკური გარემო და ხდება სტუდენტების მიერ კლინიკური უნარების გამომუშავება.
4. სიმულაციური ცენტრი საქმიანობისას ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით, უნივერსიტეტის დებულებით, მედიცინის ფაკულტეტის დებულებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) - გამოიყენება კლინიკური კომპეტენციების (კლინიკური უნარ-ჩვევების) შესაფასებლად. OSCE-ის გამოცდის დროს სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრაციას სიმულატორების გამოყენებით ან სტანდარტიზირებულ პაციენტზე (პაციენტის როლის შემსრულებელ პირები).
- ბ) სიმულაციური პაციენტი - არის ადამიანი, რომელიც ახდენს დაავადების ნიშნებისა და სიმპტომების სიმულაციას, ასრულებს პაციენტის როლს და საშუალებას იძლევა შეფასდეს სტუდენტის კლინიკური უნარები (ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გასინჯვა, კომუნიკაციის უნარები, აფექტური უნარები და ა.შ.).

მუხლი 3. ცენტრის მიზანი

ცენტრის მიზანია მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისათვის დარგობრივი უნარების გამომუშავება და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადება.

მუხლი 4. ცენტრის ფუნქციები

ცენტრის ფუნქციებია:

- ა) სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების დარგობრივი უნარების გამომუშავება.
- ბ) სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების რეალიზაცია სიმულაციურ გარემოში.
- გ) თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით სამედიცინო შემთხვევების მოდელირება და მიზნობრივი პრაქტიკის განხორციელება.
- დ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE), მეთოდოლოგიის დანერგვა და სტუდენტების კლინიკური უნარების ობიექტური შეფასება სხვადასხვა სიმულაციურ კლინიკურ გარემოში.

მუხლი 5. ცენტრის მართვა და საქმიანობა

1. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ანგარიშვალდებულია მედიცინის ფაკულტეტის დეკანის წინაშე.
2. ცენტრის ხელმძღვანელი წარმართავს ცენტრის საქმიანობას, წესითა და საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და ხელმძღვანელობს მის ყოველდღიურ საქმიანობას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების ეფექტურად განხორციელებისათვის და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წარმატებით ჩატარებისათვის.
3. ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ შესახებ დოკუმენტით.
4. სიმულაციური ცენტრის საქმიანობაში ჩართულია ლაბორანტი. ლაბორანტის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ შესახებ დოკუმენტით.

მუხლი 6. ცენტრის ქონება და დაფინანსება

1. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

- ა) ფაკულტეტის წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა.
- ბ) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ხარჯები.

2. ცენტრი ვალდებულია აწარმოოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-შენახვა, დანახარჯების აღრიცხვა და ანგარიშგება.

მუხლი 7. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგია

1. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) არის სტუდენტების ქმედებაზე ორიენტირებული კლინიკური/დარგობრივი უნარების სტანდარტიზირებული შეფასება.
2. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) ახდენს სტუდენტების კლინიკური უნარების შეფასებას ვირტუალური, სტანდარტიზირებული პაციენტების საშუალებით.
3. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) შედგება რამოდენიმე მიზნობრივი სადგურისაგან (2-12 სადგური), სადაც მოწმდება სტუდენტების სხვადასხვა კლინიკური, კომუნიკაციური, კოგნიტური, აფექტური და ა.შ. უნარები.
4. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მონაწილე გამომცდელი არის დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის მქონე და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, მაგრამ არა იმ კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელშიც ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. გამომცდელები, წინასწარ გაივლიან გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს.
5. სიმულაციური პაციენტი არის შესაბამისად მომზადებული პირი, რომელიც გამოიყენება სტუდენტების კლინიკური/დარგობრივი უნარების შესამოწმებლად.

მუხლი 8. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორებია:

- ა) ცოდნის გამოყენების უნარები (კოგნიტური უნარები);
- ბ) ფსიქომოტორული უნარები (მოტორული უნარები);
- გ) არაკლინიკური უნარები (გადაწყვეტილების მიღება, ჯგუფური მუშაობა, დაგეგმვა და ა.შ.);
- დ) დამოკიდებულებები, აფექტური უნარები (კომუნიკაცია, პროფესიონალიზმი).

მუხლი 9. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მომზადების ეტაპები

გამოცდის მომზადების ეტაპებია:

- ა) გამოცდის მიზნის განსაზღვრა (სტუდენტის მოსალოდნელი უნარებისა და კლინიკური/დარგობრივი უნარების დემონსტრაციის დონის განსაზღვრა);

- ბ) გამოცდის დროს შეფასების ელემენტების ჩამოყალიბება;
- გ) სტუდენტებისათვის ინსტრუქციების შემუშავება;
- დ) შეფასების სისტემის, რუბრიკების შემუშავება;
- ე) სცენარების, კლინიკური კონტექსტის, კითხვების შემუშავება;
- ვ) გამომცდელებისთვის ინსტრუქციების შემუშავება;
- ზ) სიმულაციური პაციენტებისთვის ინსტრუქციების შემუშავება;
- თ) სადგურების მომზადება ;
- ი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინსტრუმენტების და ა.შ. საჭიროებების განსაზღვრა და სადგურების მომზადება.

მუხლი 10. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ორგანიზება

გამოცდის ორგანიზებისა და სათანადოდ წარმართვის მიზნით სიმულაციური ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობებია:

- ა) სტუდენტებისათვის გამოცდის დაწყებამდე ინსტრუქციებისა და რეგულაციების გაცნობა;
- ბ) სტუდენტებისათვის სადგურების რუქის გაცნობა;
- გ) გამომცდელებისათვის ინსტრუქციებისა და შეფასების ფურცლების გაზიარება;
- დ) სიმულაციური პაციენტებისათვის ინსტრუქციების მიწოდება;
- ე) გამოცდების დასრულების შემდეგ სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდების უზრუნველყოფა.

მუხლი 10¹. კლინიკური უნარების სწავლების და შეფასების კომიტეტი

1. სიმულაციური ცენტრის ფარგლებში იქმნება კლინიკური უნარების სწავლების და შეფასების კომიტეტი, რომელიც ორიენტირებულია სიმულაციურ ცენტრში მიმდინარე სასწავლო და საგამოცდო პროცესის სწორ წარმართვასა და განვითარებაზე.
2. კლინიკური უნარების სწავლების და შეფასების კომიტეტი შედგება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისგან. კომიტეტის შემადგენლობა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების რეკომენდაციისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
3. კლინიკური უნარების სწავლების და შეფასების კომიტეტის ფუნქცია - მოვალეობებია:
 - ა) სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობა სალექციო და სხვა სასწავლო მასალების სტანდარტიზების მიზნით;

- ბ) კლინიკური უნარების სასწავლო კურსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის ტესტების რევიზია;
- გ) შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფურცლის (ჩექ-ლისტების) შექმნა;
- დ) სემესტრის ბოლოს კლინიკური უნარების სწავლების და შეფასების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობა;
- ე) საჭიროებიდან გამომდინარე საგამოცდო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. სიმულაციური ცენტრი შეიძლება გამოყენებული იყოს უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით დარგის სპეციალისტების ტრენინგისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.
2. სიმულაციური ცენტრის საქმიანობის წესის დამტკიცება, წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.